დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მოქმედების სფერო და მიზანი

1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომ - „თსუ“) ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომ - „ფაკულტეტი“) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პროცედურებს ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, თსუ-ის წესდებისა და სამართლებრივი აქტების, ასევე ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.

2. დოქტორანტურის მიზანია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე აკადემიური სფეროსა და დასაქმების ბაზრისათვის მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო ცოდნითა და პედაგოგიური უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადება, აკადემიური და კვლევითი რესურსების დაახლოება, ქვეყანაში სამეცნიერო და ინოვაციური მუშაობის გააქტიურება და ხარისხის ამაღლება, საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვა, ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით ახალი ცოდნის შექმნისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, განხორციელებული კვლევითი პროექტების შესაბამისობის უზრუნველყოფა ფაკულტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

მუხლი 2. დოქტორანტურა ტერმინთა განმარტება

ა) **დოქტორანტურა** – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხური;

ბ) **დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა** – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;

გ) **დოქტორანტი** – პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში;

დ) **დოქტორი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების შესრულებისა და დისერტაციის დაცვის შედეგად ენიჭება.

თავი II. ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია

მუხლი 3. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია

1. ფაკულტეტის საბჭოს მიერ იქმნება სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია (შემდეგში - დარგობრივი კომისია), რომელსაც ფაკულტეტის საბჭო გადასცემს თავის უფლებამოსილებებს დოქტორანტურის საკითხებთან დაკავშირებით.

2. დარგობრივი კომისიის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტზე მოქმედი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები და სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების ხელმძღვანელების მიერ წარდგენილი თითო წარმომადგენელი 4 წლის ვადით. დარგობრივი კომისიის რიცხობრივი შემადგენლობა იცვლება ფაკულტეტზე მოქმედი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობის შესაბამისად.3. დარგობრივ კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მოადგილე. თავმჯდომარე და მოადგილე აირჩევა 4 წლის ვადით დარგობრივი კომისიის მიერ ღია კენჭისყრით.

3. დარგობრივი კომისიის სხდომებს ხელმძღვანელობს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე. დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სხდომას უძღვება თავმჯდომარის მოადგილე. სხდომის მდივანი აირჩევა ყოველ სხდომაზე.

4. დარგობრივი კომისიის სხდომას იწვევს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე. საჭიროების შემთხვევაში სხდომის მოწვევა შესაძლებელია ფაკულტეტის საბჭოს წევრების, სულ მცირე, 1/3ის
ან ფაკულტეტის დეკანის მოთხოვნით.

5. დარგობრივი კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

6. დარგობრივი კომისიის ორგანიზაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტი.

მუხლი 4. სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის ფუნქციები

სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია:

ა) ამტკიცებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილ კონკრეტული დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ ხელმძღვანელების კანდიდატებს; ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის განმავლობაში, რაც აისახება შესაბამის სხდომის ოქმში;

ბ) ამტკიცებს სადისერტაციო თემის სათაურს დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის განმავლობაში, რაც აისახება შესაბამის სხდომის ოქმში;

გ) განიხილავს სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლასთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც აისახება შესაბამის სხდომის ოქმში;

დ) განიხილავს სადისერტაციო თემის სათაურის ცვლილებას და ამტკიცებს შეცვლილ სათაურს, რაც აისახება შესაბამის სხდომის ოქმში;

ე) უზრუნველყოფს ღონისძიებების გატარებას დისერტაციის დაცვის პროცესისთვის მსვლელობის მისაცემად;

ვ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციების საფუძველზე შეარჩევს სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებსა და დაცვის კომისიის შემადგენლობას;

ზ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი პუბლიკაციები დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო მიმართულებაში/ დარგში/სპეციალობაში;

თ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრს და დოქტორანტს/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის არ შეიძლება არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს კანონი - ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-2 ნაწილითა და 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა;

ი) ცნობად იღებს ინფორმაციას დაცვის კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და მდივნის, აგრეთვე დაცვის თარიღის შესახებ, რაც აისახება შესაბამის სხდომის ოქმში;

კ) აწარმოებს ფაკულტეტზე სადოქტორო სწავლებასა და დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას;

ლ) ამოწმებს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომთან ერთად წარდგენილ დოკუმენტაციას;

მ) რეცენზენტებს გასაცნობად აწოდებს სადისერტაციო ნაშრომს და ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს;

ნ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრებს გასაცნობად აწოდებს სადისერტაციო ნაშრომს და რეცენზენტების დასკვნას, აგრეთვე გააცნობს დისერტაციის დაცვის რეგლამენტს (პროცედურებს) და ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს.

თავი III. დოქტორანტურაში სწავლა

მუხლი 5. დოქტორანტურაში სწავლის უფლება

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით განსაზღვრულ პირობებს (მუხლი 3, პუნქტი 1) კერძოდ:

ა) დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, გარდა იმ პირისა, რომელსაც მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის 2^3 პუნქტით გათვალისწინებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის გავლის საფუძველზე.

ბ) დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს პირს, რომელმაც დაასრულა ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და რომელიც ამ პროგრამის განხორციელების დროს უფლებამოსილი იყო სწავლა გაეგრძელებინა ასპირანტურაში.

2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებში.

4. დოქტორანტობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

5. კვლევითი უნარების შეფასების მიზნით, კანდიდატს მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება.

6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კანდიდატების გამოცდილება და შესაძლებლობები, ასევე, უნივერსიტეტის/ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტრატეგია.

7. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნის დადასტურების შემთხვევაში, დოქტორანტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება არანაკლებ B1 დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას, მოეთხოვება ამ უცხოური ენის C1 დონეზე ცოდნა (დანართი №2).

8. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს, თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში. ქართულ ენაში გამოცდისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუკი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტი/კომპონენტები ხორციელდება ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას. ასეთ შემთხვევაში, დოქტორანტს ეკისრება ვალდებულება, დისერტაციის დაცვამდე სულ მცირე ორი სემესტრით ადრე დაადასტუროს ქართული ენის ცოდნა ქართული ენის ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით, თუ კვლევის ემპირიული ბაზა არის ქართული - ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატით ან გამოცდით.

9. დოქტორანტობის კანდიდატი თავისუფლდება ქართული ენის ცოდნის დადასტურების ვალდებულებისგან იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატის ჩარიცხვა ხდება საერთაშორისო პარტნიორობის/პროექტის ფარგლებში.

10. კვლევითი უნარების შეფასების მიზნით, კანდიდატს მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე დოქტორანტურაში მიღების სხვა წინაპირობები განისაზღვრება ფაკულტეტზე მოქმედი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად.

11. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ხორციელდება კომისიური წესით.

12. სადოქტორო პროგრამაზე მისაღები კომისია მტკიცდება დეკანის ბრძანებით. კომისიის შემადგელობაში შედიან პროგრამის ხელმძღვანელები და ფაკულტეტის იმ სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არანაკლებ ორი წარმომადგენელი, რა მიმართულებითაცაა წარმოდგენილი კვლევითი თეზისი/პროექტი.

13. დოქტორანტობის კანდიდატი დოქტორანტურაში სწავლის უფლების მოსაპოვებლად:

ა) წარმოადგენს კვლევის თეზისს/პროექტს დადგენილი წესის და შესაბამისი მოთხოვნების დაცვით;

ბ) გადის გასაუბრებას ან/და აბარებს მისაღებ გამოცდას (ზეპირი ან/და წერითი ფორმით) სპეციალობაში, შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობის გათვალისწინებით;

გ) აბარებს უცხო ენის გამოცდას ან/და ადასტურებს უცხო ენის ცოდნას შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.

14. დოქტორანტობის კანდიდატის გასაუბრების ან/და სპეციალობაში გამოცდის (ზეპირი ან/და წერითი ფორმით), კვლევის თეზისის/პროექტის შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს წინასწარ დამტკიცებული, საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი.

მუხლი 6. დოქტორანტურაში სწავლის პირობები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.

2. დოქტორანტის ჩარიცხვიდან ექვსი სემესტრის გასვლის შემდეგ მისი მომდევნო სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობა არის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა ფაკულტეტის წინაშე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა.

3. დოქტორანტები, რომელთაც შესრულებული აქვთ პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები, სადისერტაციო ნაშრომის დაცვისთვის საჭირო დოკუმენტაციას წარუდგენენ ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას და სადისერტაციო ნაშრომს დაიცავენ უნივერსიტეტში დადგენილი წესით.

მუხლი 7. სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა შეუძლია თსუ-ს აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი)/სამეცნიერო პერსონალს, რომელიც არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი და უდასტურდება:

ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი ან დოქტორთან გათანაბრებული ხარისხი შესაბამის სფეროში;

ბ) აქტიური მონაწილეობა სამეცნიერო კვლევებში ან/და დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/სპეციალობაში/მიმართულებაში ან/და დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკაში/კვლევის სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები (არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი) ბოლო

3 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;

გ) ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა);

დ) აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე.

2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირი (ერთობლივი კვლევები/ გრანტები/პროექტები, სამეცნიერო ასოციაციები/კავშირები/ საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებები).

3. თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს. თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება ფაკულტეტის/ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით.

4. სამეცნიერო ხელმძღვანელი შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან ერთად კონსულტაციას უწევს დოქტორანტს სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვისას.

5. სამეცნიერო ხელმძღვანელი პასუხისმგებელია დოქტორანტის მიერ დასაცავად წარდგენილი ნაშრომის აკადემიური კეთილსინდისიერებით შესრულებასა და კვლევის ეთიკური პრინციპებით განხორციელებაზე.

6. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას, რაც გულისხმობს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდულ დაკვირვებას, დოქტორანტისთვის განმავითარებელი შეფასებისა და უკუკავშირის მიცემას.

7. თანახელმძღვანელი მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. კვლევით პროცესში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები უნდა ჰქონდეს დოქტორანტებთან კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების სიხშირე უნდა შეესაბამებოდეს საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peerreviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა.

9. დოქტორანტს, მის სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულების/შეთანხმების ფორმა, რომელშიც განსაზღვრულია ყველა მხარის უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების/შეთანხმების პირობები ხელს უნდა უწყობდეს

ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას.

10. დოქტორანტის ხელმძღვანელობა გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საერთო საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში.

11. სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 3 დოქტორანტს. გამონაკლის შემთხვევაში სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს აქტიური სტატუსის მქონე არაუმეტეს 5 დოქტორანტს. აღნიშნული დასაშვებია მაშინ, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის წარდგენის მიზნით. სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია დადგინდეს სამეცნიერო ხელმძღვანელისა და აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტების ამ პუნქტში მოცემული პირობებისგან განსხვავებული თანაფარდობა, რის თაობაზეც თანხმობას გასცემს ფაკულტეტის საბჭო.

12. სამეცნიერო ხელმძღვანელი ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებულ განცხადებას წარუდგენს დარგობრივ კომისიას.

13. დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 8. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პერსონალი

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე, სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში, უშუალოდ ჩართული უნდა იყოს პროგრამის განხორციელებაში და წარმოადგენდეს დაწესებულების აფილირებულ აკადემიურ ან სამეცნიერო პერსონალს.

2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი. პროგრამის განხორცილებაში ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა (არსებობის შემთხვევაში).

4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მათ კომპეტენტურობას.

5. მიზანშეწონილია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის მონაწილეობა.

მუხლი 9. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

1. დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები ხელს უწყობს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური, სამეცნიერო და პროფესიული საქმიანობისათვის.

2. სასწავლო კომპონენტი ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

3. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულების მიზნით, იქმნება ინდივიდუალური კვლევის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას.

4. დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად, შესაბამისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, ადგენს ინდივიდუალურ კვლევის გეგმას, რომელიც დამოკიდებულია დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის, შესაბამისი დარგისა და სადოქტორო პროგრამის სპეციფიკაზე, ფაკულტეტის აკადემიურ პოტენციალსა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე.

5. **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის საფაკულტეტო სქემა** მოიცავს:

ა) დოქტორანტის მიერ ხელმძღვანელთან შეთანხმებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის წარდგენას ფაკულტეტის კვლევის ეთიკის საბჭოზე. კვლევის განხორციელებისთვის დოქტორანტს უნდა ჰქონდეს კვლევის ეთიკის საბჭოს დასკვნა;

ბ) სამეცნიერო-კვლევით პროექტებს; კერძოდ, ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის:

- ზეპირ პრეზენტაციასა და განხილვას. განხილვაში მონაწილეობს პროგრამის ხელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული/ან შესაბამისი ინსტიტუტის აკადემიური პერსონალი.

- წერილობითი ფორმით წარდგენას. დოქტორანტი შესაბამისი პროექტების ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს, სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე, წარუდგენს დარგობრივ კომისიას.

პროექტი N1: საკვლევი პრობლემის დასმა, მისი ასახვა სამეცნიერო ლიტერატურაში; სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგია და ზოგადი სტრუქტურა; ნაშრომის მოცულობა მინიმუმ 20 გვერდი.

პროექტი N2: კვლევის ანალიზი და შედეგები; ნაშრომის მოცულობა მინიმუმ 20 გვერდი.

გ) სამეცნიერო კვლევითი პროექტი N1 და N2 მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას მოიცავს და წარმოადგენს დისერტაციის დაცვის წინაპირობას;

დ) დისერტაციის წარდგენა საფაკულტეტო წინასწარ მოსმენაზე. დისერტაციის პრეზენტაცია იმართება საფაკულტეტო სემინარების ციკლში „კოლოკვიუმების სერია“;

ე) დასრულებული დისერტაცია; დოქტორანტი დასრულებულ დისერტაციას წარუდგენს ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას;

ვ) სამეცნიერო პუბლიკაციები; დოქტორანტი წარუდგენს ფაკულტეტის სამეცნიერო სამსახურის მიერ გაცემულ შესაბამის ცნობას ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას.

6. **სასწავლო კომპონენტი** (არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს) ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე, კვლევის მეთოდოლოგიაზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით. სასწავლო კომპონენტი გულისხმობს შემდეგ სავალდებულო აქტივობებს: დარგობრივი სემინარი, პროფესორის ასისტენტობა, კვლევის მეთოდოლოგია.

7. სხვა სასწავლო აქტივობები (სასწავლო კურსები/მოდულები პრაქტიკა და სხვ.) განისაზღვრება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით.

8. თუ დოქტორანტი ამავდროულად არის თსუ-ს ასისტენტი/მასწავლებელი ან მოწვეული პერსონალი, უძღვება სალექციო/პრაქტიკულ/სემინარულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებს, შესრულებული სამუშაო შესაძლებელია ჩაეთვალოს პროფესორის ასისტენტობაში ამ სტანდარტით პროფესორის ასისტენტობისთვის განსაზღვრული სავალდებულო კრედიტების მინიმალური რაოდენობით (5 ECTS კრედიტი) იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სამუშაო შესრულდა ანაზღაურების გარეშე.

9. შესრულებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები წარმოადგენს დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობას.

თავი IV. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა, დაცვა და აკადემიური ხარისხის მინიჭება

მუხლი 10. დისერტაცია

1. დისერტაცია წარმოადგენს სამეცნიერო ნაშრომს, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

2. დისერტაციის/სადოქტორო ნაშრომის შედეგებს ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეზე უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-კვლევითი მნიშვნელობა, იყოს ინოვაციური და პრაქტიკული/ თეორიული ღირებულების მქონე.

3. დისერტაცია უნდა ასახავდეს კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და ქმნიდეს ახალ ცოდნას.

4. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია/აბსტრაქტი/ რეზიუმე საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომია.

5. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის საბჭო.

6. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ და ინგლისურ ენაზე.

7. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია უნდა ასახავდეს დისერტაციის ყველა კომპონენტს. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის მინიმალური მოცულობა განისაზღვრება 40 გვერდით.

8. სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნას ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციის შესაბამისად.

მუხლი 11. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცედურა

1. **სადისერტაციო ნაშრომის წარდგენისათვის საჭირო წინასწარი პროცედურები.** ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიაში დისერტაციის წარდგენამდე

ა) დოქტორანტი წარდგება სადისერტაციო ნაშრომის პრეზენტაციით საფაკულტეტო წინასწარ მოსმენაზე („კოლოკვიუმების სერიაზე“);

ბ) დოქტორანტი ფაკულტეტის მიერ ელექტრონულ პროგრამაში (e-Learning) საგანგებოდ გახსნილ ველში ტვირთავს სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, აკადემიური კეთილსინდისიერების გადამოწმების მიზნით. დეკანის ბრძანებით შეირჩევა პირი/პირები, რომელიც დოქტორანტს სათანადო ტექნიკურ დახმარებას გაუწევს;

გ) პლაგიატის შემოწმების შედეგი სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ გადაეგზავნება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, რომელიც ასახავს მას სათანადო დასკვნაში;

დ) პლაგიატის არსებობაზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ხელმძღვანელი აწვდის ინფორმაციას ფაკულტეტის სადისერტაციო დარგობრივ კომისიას. ფაკულტეტის სადისერტაციო დარგობრივი კომისია ადგენს აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების საგანგებო კომისიას და ნიშნავს პლაგიატის საკითხის განხილვის თარიღს ორი კვირის ვადაში;

ე) აკადემიური კეთილსინდისიერების საგანგებო კომისია შედგება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის 3 წევრისგან და იქმნება კონკრეტული დისერტაციის თემატიკის გათვალისწინებით; ვ) დოქტორანტს წერილობითი ფორმით ეგზავნება შეტყობინება განხილვის თარიღის შესახებ. იგი ესწრება საკითხის განხილვას, სადაც სარგებლობს სიტყვის უფლებით და შეუძლია მიაწოდოს კომისიას მტკიცებულებები საკუთარი პოზიციის დასაცავად;

ვ) საგანგებო კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომელსაც წერილობით აცნობებს ფაკულტეტის სადისერტაციო დარგობრივ კომისიას;

ზ) სადისერტაციო დარგობრივი კომისია პლაგიატთან დაკავშირებული ხარვეზების დადასტურების შემთხვევაში დოქტორანტს აძლევს ერთი თვის ვადას შესწორებისა და ხელახალი ექსპერტიზისათვის. კონფლიქტურ ვითარებაში იქმნება სპეციალიზებული კომისია კონრეტული დისერტაციის ტექსტის შასასწავლად. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში დოქტორანტს მოეთხოვება დისერტაციის შესწორება და წარდგენა ხელახალი ექსპერტიზისათვის;

თ) სადისერტაციო ნაშრომის პლაგიატის ექსპერტიზის წარმატებით დასრულების შემდეგ დოქტორანტს ეძლევა სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიაში სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.

2. **წინასწარი პროცედურების გავლის შემდეგ დოქტორანტი ფაკულტეტის სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის 4 ბეჭდურ და 1 ელექტრონულ ვერსიას.**

3. **სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს:**

ა) განაცხადი, რომ სადისერტაციო ნაშრომი დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს/გაყალბებულ მონაცემებს;

ბ) ფაკულტეტის კვლევის ეთიკის საბჭოს დასკვნა; (დანართი №6)

გ) დოქტორანტის მიერ შესრულებული სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში; (დანართი №7)

დ) ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული მოთხოვნებით შესრულებული დისერტაციის კვლევის შედეგები - დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია - ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე.

ე) სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების თაობაზე; (დანართი №8).

ვ) ფაკულტეტის სამეცნიერო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;

ზ) ფაკულტეტის სამეცნიერო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა დისერტაციის საფაკულტეტო ციკლში - „კოლოკვიუმების სერია“ - პრეზენტაციის შესახებ;

თ) დარგობრივი კომისიის მიერ გაცემული ცნობა სამეცნიერო და სასწავლო კომპონენტის (დაგროვილი კრედიტების) შესრულებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე;

ი) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია;

კ) სადისერტაციო ნაშრომის შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (2018-2019 სასწავლო წლამდე შემფასებლის რეცენზია. იხ. დანართი №4);

ლ) წარმოდგენილ დოკუმენტებს ამოწმებს სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია;

მ) სადისერტაციო მასალების წარდგენის შემდგომ სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისია ერთი თვის ვადაში მსვლელობას აძლევს საქმის წარმოებას.

4. ფაკულტეტის/ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით შეიძლება განისაზღვროს დისერტაციის წარდგენასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები.

5. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით ფაკულტეტის საბჭოსათვის გათვალისწინებული გარკვეული უფლებამოსილებები, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლოა გადაეცეს სადისერტაციო მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 12. საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების ვალდებულება

1. დოქტორანტმა დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში უნდა გამოაქვეყნოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მინიმუმ ორი სტატია:

ა) Scopus-ში ან Web of Science-ში ინდექსირებულ რომელიმე ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში - conference proceedings) - აუცილებელია მინიმუმ 1 მაინც;

ბ) საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში.

2. თსუ დოქტორანტს საორიენტაციოდ აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამის საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო გამოცემების/ბაზების შესახებ.

მუხლი 13. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები

1. დარგობრივი კომისია სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების მიზნით გამოყოფს არანაკლებ ორ რეცენზენტს, მათ შორის, ადგილობრივ და საერთაშორისო რეცენზენტს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი), რომლებსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო. შემფასებელთაგან ერთი უნდა იყოს ინსტიტუციის გარედან მოწვეული სპეციალისტი. ერთ-ერთი რეცენზენტის უარყოფითი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში ინიშნება ახალი რეცენზენტი.

2. რეცენზენტს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/სპეციალობაში/მიმართულებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.

3. ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებ**ად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი,** რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.

4. საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.

5. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა[1], რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას.

6. რეცენზენტი ვალდებულია, დარგობრივი კომისიის მიერ დისერტაციის გადაცემიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში გაეცნოს სადისერტაციო ნაშრომს და წარუდგინოს რეცენზია დარგობრივ კომისიას.

7. რეცენზენტი დასკვნას (რეცენზიას) წარადგენს რეცენზიის დადგენილი ფორმის შესაბამისად.

8. ორი რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, ფაკულტეტის სადისერტაციო დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით დოქტორანტი არ დაიშვება დაცვაზე და მას მიეცემა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

9. რეცენზენტის მოძიების, დამტკიცებისა და მისი საქმიანობის მექანიზმები განისაზღვრება ფაკულტეტის/ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით.

მუხლი 14. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო. ინფორმაცია მის შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის (შესაბამისი ფაკულტეტის) ვებგვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

2. დისერტაციის დაცვის ენა არის ქართული, თუ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ
არ არის დადგენილი.

3. დისერტაციას აფასებს დაცვის კომისია, რომელიც შექმნილია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრული წესით.

4. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისდასკვნას (შეფასებას).

5. დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

6. იმ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ უნივერსიტეტის და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხი, შესაძლებელია არსებობდეს დისერტაციის დაცვის განსხვავებული რეგლამენტი (მაგ., კოტუტელის ფარგლებში), რომელსაც შეიმუშავებენ მხარეები და ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 15. დისერტაციის შეფასება

1. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს დარგობრივი კომისიის მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის
შეფასება ხდება კონფიდენციალურად.

---

[1] ანონიმურობა გულისხმობს, რეცენზიის გაცნობამდე დოქტორანტისთვის ან/და მისი ხელმძღვანელისთვის/თანახელმძღვანელისთვის რეცენზენტის ვინაობის კონფიდენციალურობას.

2. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს შეფასებას შემდეგი სისტემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი - შეფასების 91-100 ქულა;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს - მაქსიმალური შეფასების 41 – 50 ქულა;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა"-„ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს კომისიის დასკვნას (შეფასებას) აცნობს ზეპირად.

მუხლი 16. სადოქტორო ნაშრომის შეფასების შედეგების გასაჩივრება

1. თუ დოქტორანტი არ ეთანხმება დაცვის კომისიის შეფასებას, იგი შესაბამისი წერილით მიმართავს ფაკულტეტის დოქტორანტურის დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეს.
2. ფაკულტეტის დოქტორანტურის დარგობრივი კომისია თავისი გადაწყვეტილებით ერთჯერადად ქმნის სააპელაციო კომისიას 3 პროფესორის შემადგენლობით, საიდანაც ერთი პროფესორი მოწვეულია სხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებიდან.
3. დისერტაციის შეფასების გასაჩივრების თაობაზე დაცვის კომისიის თავმჯდომარე სააპელაციო კომისიას წარუდგენს განმარტებით ბარათს, რომელშიც ასაბუთებს კომისიის გადაწყვეტილებას.
4. სააპელაციო კომისია:
ა) ამოწმებს დაცვის პროცედურის და ხმის მიცემის პროცედურის გამართულობას;

ბ) საჭიროების შემთხვევაში შეისწავლის დაცვის მიმდინარეობის აუდიოჩანაწერს და აკეთებს შინაარსობრივ ანალიზს;
გ) კომისიის მუშაობის შედეგად (ან აუდიოჩანაწერის ანალიზის საფუძველზე) გამოტანილი დასკვნის საფუძველზე დისერტაციის შეფასების შედეგი შეიძლება არ შეიცვალოს. ხოლო თუ კომისია მიიჩნევს, რომ შეფასების შეცვლა შესაძლებელია, ასეთ შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს დაცვა კომისიის ახალი შემადგენლობის წინაშე.

მუხლი 17. ხარისხის მინიჭება და სადისერტაციო ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი, რომლის დასახელება უნდა განისაზღვროს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად.

2. უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტს დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შესაბამისი დებულების მოთხოვნათა დაცვით.

3. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების სხდომას ესწრება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ან/და სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის ერთი წევრი მაინც, რომელიც დამსწრეებს ინფორმაციას აწვდის დისერტაციის შეფასებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ.

4. დიპლომს ხელს აწერენ უნივერსიტეტის რექტორი, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და ფაკულტეტის დეკანი.

5. დარგობრივი კომისია ვალდებულია, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ ერთი თვის ვადაში გადასცეს დისერტაცია ელექტრონული ფორმით უნივერსიტეტის გამომცემლობას, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას, ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას; ამავე ვადაში დისერტაციის თითო ბეჭდური ეგზემპლარი უნდა გადაეცეს საუნივერსიტეტო და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკებს.

მუხლი 18. გარდამავალი დებულებები

1. ფაკულტეტზე მოქმედ აკრედიტებულ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე წინამდებარე დებულებით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებული პირობების შესრულება სავალდებულო იქნება მათი რეაკრედიტაციის, ასევე პროგრამის სასწავლო კომპონენტის ცვლილებების შემთხვევაში.

2. 2018-2019 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისათვის ამ დებულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესი მოქმედებს პროგრამის რეაკრედიტაციის გავლის შემთხვევაშიც.

3. მინიმალური სტანდარტის მე-11 მუხლით (მუხლი 11. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები) დადგენილი მოთხოვნები ვრცლდება 2024 წლის 30 აგვისტოდან ჩარიცხულ დოქტორანტებზე. 2024 წლის 30 აგვისტომდე ჩარიცხული დოქტორნატებისთვის:

ა) ფაკულტეტის საბჭო სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების მიზნით გამოყოფს არანაკლებ ორ რეცენზენტს, რომელთაც შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო. ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფითი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში ინიშნება ახალი რეცენზენტი;
ბ) რეცენზენტს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში/სპეციალობაში/მიმართლებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები;

გ) რეცენზენტი ვალდებულია, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ დისერტაციის გადაცემიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში გაეცნოს სადისერტაციო ნაშრომს და წარუდგინოს რეცენზია ფაკულტეტს;

დ) რეცენზენტი დასკვნას (რეცენზიას) წარადგენს დადგენილი რეცენზიის ფორმის შესაბამისად (დანართი №9);

ე) ორი რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი არ დაიშვება დაცვაზე და მას მიეცემა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.

4. 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან უნივერსიტეტის აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალს, რომელიც სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევს მინიმალური სტანდარტის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ რაოდენობაზე მეტ დოქტორანტს, შეეზღუდოს დამატებით დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა.